



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გრივი ვლადიმერ დიმიტრის ძე



ვ. გრივი

გრივი ვლადიმერ დიმიტრის ძე (10. X. 1959, ფოთი, – 25. II. 1999, თბილისი), ინჟინერ-მეტალურგი. 1981 დაამთავრა საქართვე. პოლიტექ. ინ-ტის მეტალურგიის ფაკ-ტი ლითონმცოდნეობის სპეციალობით. 1981-84 მუშაობდა ტაგანროგის მეტალ. კომბინატში, 1984-იდან გარდაცვალებამდე – საქართვე. ტექ. უნ-ტში მეტალ. ფაკ-ტის მასალათა თვისებების სამეცნ.-კვლევით ლაბორატორიაში უფროს მეცნ. თანამშრომლად. გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. შრომები და მიღებული აქვს საავტორო მოწმობები მაღალმტკიცე ლეგირებული ფოლადების მიღებასა და მათგან სანავთობე მილების დამზადების ტექნოლოგიებზე. 1993 სპეციალისტების ჯგუფთან ერთად მიენიჭა საქართვე. სახელმწ. პრემია „1975-90 წლებში ეკონომიურად

ლეგირებული ფოლადებისა და პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების შემუშავება - დანერგვისათვის სანარმოო ციკლში ფოლადი - მზა პროდუქცია".

შ. ნემსაძე
